ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2158017

ნომერი: AR1334385

თარიღი : 12.08.2015

გაცემის თარიღი : 25.08.2015

გაცნობის თარიღი : 25.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი I ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:
- სმარტ რითეილი კოდი: 205124346

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  კორექტირება
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა

კორექტირება
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის რეკონსტრუქცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა, შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება, შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი, კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა, ბრებისა და რეკლამების განთავსება, ღია ავტოსადგომის მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, დასახლება ვაზისუბანი, IV მ/რ, კვარტალი I, შ.პ.ს. "ახალი პურის კომბინატი"-ს (მოიჯარე: ს.ს. "სმარტ რითეილ") კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.17.07.023.001), კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014663311 12/12/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.17.07.023.001; საპროექტო ფოტომონტაჟი; არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული გადაწყვეტილება #328308 29/08/2012წ.) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, დასახლება ვაზისუბანი, IV მ/რ, კვარტალი I, შ.პ.ს. "ახალი პურის კომბინატი"-ს (მოიჯარე: ს.ს. "სმარტ რითეილ") კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.17.07.023.001), კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.